სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი
44694839227826

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება
ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N261621894

რეგისტრაციის თარიღი
17.11.2026 წ

ნოტარიუსი: ნათია ნოზაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ჯუმბერ ლეჟავას ქ. #22
ტელეფონი: 599 04 04 59; 558 611 003;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაექვსი წლის **ჩვიდმეტ ნოემბერს**, მე, საქართველოს ნოტარიუსს ნათია ნოზაძეს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჯუმბერ ლეჟავას ქ. №22, მომმართა **ბექა ვირსალაძემ** და განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც წესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **ნათია გიორგობიანს**. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და სსგს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **ბექა ვირსალაძემ** (დაბ.16.05.1993წ, პირადი №01011096871, პირადობის მოწმობის №18ID50620, გაცხადებული მისამართი: საქართველო, თბილისი დავით აღმაშენებლის ქ. N 5 კორ. 2 ბ. 42) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭონდა. მე დავრწმუნდი მის ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომლის ტექსტი სრულად წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობის გაცემს, განკუთმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რომელიც თავად წაკითხა და მოიწონა მან და განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. **ასევე განვუმარტე, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია გაიუქმოს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება**, შემდეგ, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას.

მინდობილობა

მე, "მინდობილობის გამცემი" **ბექა ვირსალაძე** (დაბ.16.05.1993წ, პირადი №01011096871), "მინდობილ პირს" **ნათია გიორგობიანს** (დაბ.16.10.1972წ, პირადი №01023013302), ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას: აწარმოოს საქმე ჩემს საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით (უძრავი ქონება მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ზეთისხილის I შესახვევი N 8, კორპ. 3, ბინა N18; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N 01.16.09.001.218.01.018) აწარმოოს ურთიერთობა-მოლაპარაკებები და წარმოადგინოს მინდობილობის გამცემი ნებისმიერ საჯარო და კერძო ორგანიზაცია დაწესებულებებში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) ურთიერთობაში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ორგანოებში, ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიაში, მათ შორის ქ. თბილისის მერიაში, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, სააშენებლო ფირმებში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საკრებულოში (ლეგალიზების კომისიაში), „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" კომისიაში, გამგეობაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში" და ა.შ. „მინდობილობის მიმღები" უფლებამოსილია „მინდობილობის გამცემის" სახელით შეიტანოს განცხადება, მათ შორის ელექტრონულად, წარადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, განცხადება, თანხმობა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, მოახდინოს პროექტების ცვლილება/კორექტირება, უძრავი ქონების გამოყენება გაერთიანება/ფართობის ცვლილება მოახდინოს მიწის სტატუსის ცვლილება, მინდობილობის მიმღები ასევე უფლებამოსილია აიღოს ნებართვები, მოითხოვოს ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება, წარმოადგინოს „მინდობილობის გამცემის" ინტერესები „მინდობილობის გამცემის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (უძრავი ქონება მდებარე ქალაქი თბილისი, ზეთისხილის 1 შესახვევი N 8, კორპ. 3, ბინა N18 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N 01.16.09.001.218.01.018) აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას და უძრავი ქონების გამოყენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან. მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, აწარმოოს სამშენებლო სარემონტო სამუშაოები და მოახდინოს აშენებული ფართის ექსპლუატაციაში მიღება. გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია „მინდობილობის გამცემის" მიერ მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად. მინდობილობა გაცემულია გადაუნდობის უფლების გარეშე. ექვსი თვის ვადით და ძალაშია ორი ათას ოცდაშვიდი წლის ჩვიდმეტ მაისამდე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნათია ნოზაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა "მინდობილობის გამცემს".

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური სულ 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, აქედან: 18.00 (თვრამეტი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა. 5.00 (ხუთი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ : 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

მინდობილობის გამცემი ბექა ვირსალაძე ბექა ვირსალაძე

ნოტარიუსი / ნათია ნოზაძე

